



საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში განხორციელებული საგანგებო მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში

(2020 წლის 7 მაისი)

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

სარჩევი

1. შესავალი	3
2. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გატარებული ზომები და ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა.....	4
3.1 განსაკუთრებული პირობების შემოღება.....	4
3.2 ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა.....	4
4. დროებითი განთავსების ცენტრში არსებული ზოგადი მდგომარეობა	5
4.1 დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები.....	5
4.2 კვება	7
4.3 შემოწმების პროცედურები.....	9
4.4 სამედიცინო მომსახურება	9

1. შესავალი

2020 წლის 7 მაისს, სახალხო დამცველის მოადგილემ და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი განთავსების ცენტრში (შემდგომში ცენტრი) საგანგებო მონიტორინგის ვიზიტი განახორციელეს. ვიზიტის მიზანი იყო დაწესებულებაში კორონავირუსის პრევენციის მიზნით მიღებული ეპიდემიოლოგიური ზომების საქართველოში უკანონოდ მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების, მათ შორის თავშესაფრის მაძიებლების უფლებებზე გავლენის შეფასება, ასევე პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შემოწმება. ვიზიტის დროისთვის ცენტრში მოთავსებული იყო 15 საქართველოში უკანონოდ მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქე (14 მამაკაცი და 1 ქალი).

ვიზიტის მეთოდოლოგია მოიცავდა დროებითი განთავსების ცენტრის დათვალიერებას, დოკუმენტაციის შემოწმებასა და გასაუბრებას, როგორც ცენტრის ადმინისტრაციასთან, ასევე ცენტრში მოთავსებულ პირებთან. აღსანიშნავია, რომ უშუალოდ მონიტორინგის ვიზიტების განხორციელებამდე, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა მოახდინა სამუშაო მეთოდოლოგიის არსებულ გამოწვევებთან ადაპტირება. განისაზღვრა პანდემიის პირობებში უსაფრთხო მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების წესები და წევრებს მიეცათ შესაბამისი მითითებები. შეძენილ იქნა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და წევრებს განემარტათ მათი გამოყენების წესები. ამ ზომების მიღების მიზანია მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების დროს ახალი კორონავირუსის გავრცელების რისკის მინიმუმაცია, თანამშრომლებისა და დაწესებულებაში მყოფი პირების დაცვა. მისასაღებელია ის ფაქტი, რომ დროებითი განთავსების ცენტრის თანამშრომლები ხელს უწყობდნენ მონიტორინგის ჯგუფს საქმიანობის უსაფრთხოდ და გაუმართლებელი შეზღუდვების გარეშე განხორციელებაში.

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის 22-ე მუხლის შესაბამისად, „კომპეტენტური ორგანოები შეისწავლიან პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს და გამართავენ მასთან დიალოგს იმპლემენტაციის შესაძლო ზომების გატარებასთან დაკავშირებით“.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის შედეგად მომზადებული ანგარიში 2020 წლის 2 ივნისს გაეგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორს, რომელსაც ეთხოვა ინფორმაციის წარმოდგენა ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების განხილვისა და შესრულების შესახებ. 2020 წლის 9 ივნისს, მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორის ინიციატივით გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმში განხილულ იქნა დროებითი განთავსების ცენტრის მიმართ გაცემული რეკომენდაციები, რასაც სახალხო დამცველი დადებითად

აფასებს. შეხვედრაზე მოგვაწოდეს ინფორმაცია, როგორც შესრულებული რეკომენდაციების შესახებ, ასევე ისაუბრეს რეკომენდაციების შესრულების მიზნით უახლოეს მომავალში დაგეგმილ აქტივობებზე.

2. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გატარებული ზომები და ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა

3.1 განსაკუთრებული პირობების შემოღება

„ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის №529 განკარგულების აღსრულების მიზნით, ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში შეიზღუდა გარეშე პირთა ვიზიტი და ამანათების მიღება.¹ ეს შეზღუდვები სახალხო დამცველის მოადგილისა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის ცენტრში ვიზიტის დროს² კვლავ მოქმედებდა. 2020 წლის 22 მაისიდან დროებითი განთავსების ცენტრში მოიხსნა გარეშე პირთა ვიზიტებსა და ამანათების მიღებაზე დაწესებული შეზღუდვები, რაც მისასაღმებელია. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ცენტრში განხორციელებული ვიზიტისას, გარეშე პირთა ვიზიტებზე დაწესებული შეზღუდვის საკომპენსაციოდ, გაზრდილი იყო, როგორც ტელეფონით³ ასევე კომპიუტერით⁴ სარგებლობის ხანგრძლივობა, რასაც სახალხო დამცველი დადებითად აფასებს.

3.2 ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა

მონიტორინგის შედეგად დადგინდა⁵, რომ ცენტრის ტერიტორიაზე პერიოდულად ტარდება სადუზინგეჟციო სამუშაოები. კერძოდ, სპეციალური ხსნარით მუშავდება ცენტრის შიდა და გარე პერიმეტრი, მათ შორის უცხოელების განთავსების ოთახები. ამასთანავე, შენობის ყველა სართულზე, გარდა უშუალოდ უცხოელების განთავსების ფლიგელებისა დამონტაჟებულია ხელის სადუზინგეჟციო დისპანსერები. იქედან გამომდინარე, რომ დისპანსერი დაყენებულია ფლიგელს გარეთ, უცხოელებს მისით სარგებლობა შეუძლიათ ფლიგელიდან გასვლისა და შემოსვლის შემთხვევაში. გარდა

¹საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 2020 წლის 6 აპრილის MIA0 2000991752 წერილი.

²2020 წლის 7 მაისი.

³ტელეფონით სარგებლობის სიხშირე გაიზარდა კვირაში სამიდან ხუთ დღემდე. არ შეცვლილა ტელეფონით სარგებლობის დღიური ლიმიტი 4 წუთი.

⁴დღის განმავლობაში კომპიუტერით სარგებლობის დრო ერთიდან ორ საათამდე გაიზარდა.

⁵ გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციასთან და ცენტრში მოთავსებულ უცხოელებთან.

ამისა, უცხოელებისთვის განთავსების ოთახებთან, გამოკრულია ჰიგიენური ნორმების დაცვის წესები⁶.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ცენტრის თანამშრომლები აღჭურვილნი არიან დამცავი პირბადეებით, რეზინის ხელთათმანებითა და სახის დამცავი ფარით. ამასთანავე, მრავალჯერადი გამოყენების პირბადეებით უზრუნველყოფილი არიან ცენტრში განთავსებული უცხოელები, რაც ვირუსის გადაცემის რისკს ამცირებს. თუმცა, თანამშრომლებს ინფექციის კონტროლთან და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული სპეციალური სწავლება არ ჩატარებიათ.⁷ მიგრაციის ცენტრში 9 ივნისს გამართული სამუშაო შეხვედრისას გაირკვა, რომ ცენტრი იზიარებს სახალხო დამცველის რეკომენდაციას და აპირებს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დახმარებით ზემოთ მითითებული სწავლების ჩატარებას.

ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ცენტრში ახალშემოსული უცხოელს უტარდება თერმოსკრინინგი, ასევე ივსება კითხვარი უცხოელის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რის შემდგომაც უცხოელი ორი კვირის განმავლობაში თავსდება სხვა პირებისგან განცალკევებით.

რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- მიიღოს ყველა ზომა, რათა ცენტრის თანამშრომლებს ჩაუტარდეთ ინფექციის კონტროლთან და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული სპეციალური სწავლება

4. დროებითი განთავსების ცენტრში არსებული ზოგადი მდგომარეობა

4.1 დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

წინა ვიზიტების მსგავსად, ცენტრში მოთავსებული პირებისთვის შეზღუდულია ცენტრის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილება. ცენტრში მოთავსებული პირები ძირითადად ჩაკეტილნი არიან თავიანთ ფლიგელებში და მხოლოდ განსაზღვრულ დროს ცენტრის უსაფრთხოების თანამშრომელთან ერთად შეუძლიათ გავიდნენ ეზოში, სასადილოში, კომპიუტერისა და შეხვედრების ოთახში.⁸ უცხოელებთან

⁶ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინგლისურ, რუსულ და არაბულ ენებზე.

⁷ „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების არასწორი გამოყენების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია დაწესებულების თანამშრომლებმა გაიარონ ადეკვატური სწავლება“, Preparedness, prevention and control of COVID-19 in prisons and other places of detention (Interim guidance), WHO, 2020 წლის მარტი, გვ.13. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/2SAyECJ> [ბოლოს ნანახია 27.05.2020].

⁸ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში პრევენციის ეროვნული მექანიზმი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრის მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, გვ.6, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://ombudsman.ge/res/docs/2019110109240829750.pdf> [ბოლოს ნანახია 22.06.2020].

გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციით, ცენტრში დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, ეზოში სუფთა ჰაერზე გასვლა შესაძლებელია მხოლოდ 1 საათით და ისიც ჯგუფის მიერ ერთობლივი მოთხოვნის შემთხვევაში. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ცენტრში მოთავსებულ პირებს დღის განმავლობაში შეუზღუდავად უნდა შეეძლოთ სუფთა ჰაერზე გასვლა, როგორც ინდივიდუალურად ასევე ჯგუფურად.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ცენტრში ერთი საერთო სარგებლობის ოთახის დამატებასა და მისი ტელევიზორით აღჭურვას. მიუხედავად ამისა, დაწესებულებაში თავისუფალი გადაადგილების შეუძლებლობა, რეჟიმი⁹ და რეკრეაციული აქტივობების სიმცირე სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს საქართველოდან გაძევების მიზნით მოთავსებული პირებისთვის ცენტრში მოთავსებით გამოწვეული ფსიქოემოციური მდგომარეობის შემსუბუქებას. ამასთანავე, არ შესრულებულა სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშში გაცემული გარკვეული რეკომენდაციები. კერძოდ, ცენტრში არ შექმნილა სარეკრეაციო ოთახი, რომელიც აღჭურვებოდა დასვენებისთვის აუცილებელი საშუალებებით (მაგალითად, სამაგიდო თამაშებით). ცენტრში 9 თვემდე ვადით მოთავსებული პირებისთვის არ არის შეთავაზებული ორგანიზებული აქტივობები (მაგალითად, ლექციები, ხელნაკეთობების შექმნისა და კულინარიის გაკვეთილები). დაწესებულებაში არ არის უზრუნველყოფილი უცხოელის სუფთა ჰაერზე დღის განმავლობაში შეუზღუდავი დროით ყოფნის შესაძლებლობა, ხოლო ეზო არ არის აღჭურვილი სავარჯიშო ინვენტარით. მიგრაციის ცენტრში გამართულ შეხვედრაზე მოგვაწოდეს ინფორმაცია, ეზოს სავარჯიშო ინვენტარით აღჭურვის მიზნით წლის ბოლომდე დაგეგმილი სამუშაოებზე.

რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- 2020 წელს ცენტრში შეიქმნას სარეკრეაციო ოთახი და აღჭურვის დასვენებისთვის აუცილებელი საშუალებებით (მაგალითად, სამაგიდო თამაშებით)
- 2020 წელს ცენტრში 9 თვემდე ვადით მოთავსებული პირებისთვის შეთავაზებულ იქნეს ორგანიზებული, თუნდაც დისტანციური აქტივობები

⁹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებულ უცხოელთა დღის წესრიგი: გაღვიძება (დილის ჰიგიენა, ოთახების დალაგება) 08:00-09:00; აღრიცხვა 09:00-09:20; საუზმე 09:20- 10:00; თავისუფალი დრო (სუთა ჰაერზე გასეირნება - ეზო არ არის გადახურული და შესაბამისად შეუძლებელია მისი ცუდ ამინდში გამოყენება. ცენტრში მოთავსებულ პირს შეუძლია გავიდეს დაწესებულების სასეირნო ეზოში, სადაც მოწყობილია მოედანი, მაგრამ არ არის სავარჯიშო ინვენტარი. პრაქტიკაში ცენტრში მოთავსებული პირები დღეში მხოლოდ 1 საათით გაჰყავთ სუფთა ჰაერზე და ისიც მხოლოდ ჯგუფის მოთხოვნის შემთხვევაში; კომპიუტერით დღეში ორჯერ თითო საათით სარგებლობა; ბიბლიოთეკითა და ტელევიზორით სარგებლობა; სადილი 13:00-14:00; თავისუფალი დრო 14:00-17:40; აღრიცხვა 17:40-18:00; ვახშამი 18:00-19:00; ჰიგიენა და ტელევიზორით სარგებლობა 19:00-22:00; აღრიცხვა ოთახებში გადანაწილება 22:00-22:30.

(მაგალითად, ლექციები, ხელნაკეთობების შექმნისა და კულინარიის გაკვეთილები)

- 2020 წელს უზრუნველყოფილ იქნეს დაკავებულების სუფთა ჰაერზე დღის განმავლობაში მაქსიმალური დროით ყოფნის შესაძლებლობა, ხოლო ეზო ალტურვილ იქნეს სავარჯიშო ინვენტარით

4.2 კვება

სპეციალური პრევენციული ჯგუფი დადებითად აფასებს სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულებასა და უცხოელებისათვის კვების რაციონში ხილის დამატებას. საიმიგრაციო დაკავების კონტექსტში, კვების უფლების საკითხი დაკავშირებულია, როგორც ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან, ასევე ადამიანის ღირსების პატივისცემასთან. საკვების კვებითი ღირებულება უნდა შეესაბამებოდეს პირის ასაკს, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და კულტურულ/რელიგიურ თავისებურებებს.¹⁰ აღსანიშნავია, რომ გამოკითხული უცხოელების უმრავლესობა უკმაყოფილებას გამოხატავდა მიწოდებულ საკვებთან დაკავშირებით. კერძოდ, მათ მთავარ წუხილს ყოველდღიურ რაციონში თევზის¹¹ გათვალისწინება და მისი ალტერნატიული ხორცპროდუქტებით ჩანაცვლების შეუძლებლობა იყო. ამასთანავე, გამოკითხულთა ნაწილი დღის რაციონში წიწიბურას ბრინჯით ჩანაცვლების შესაძლებლობას მოითხოვდა.

საყურადღებოა, რომ მიგრაციის ცენტრში მოთავსებულნი არიან განსხვავებული რელიგიური და კულტურული ჯგუფის წარმომადგენლები, რომელთათვისაც განსაკუთრებით სენსიტიურია კვების საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ცენტრის ადმინისტრაციამ მენიუს შედგენისას მაქსიმალურად გაითვალისწინოს ცენტრში მოთავსებული პირების კულტურული თავისებურებები.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხული უცხოელები წუხილს გამოთქვამდნენ სალამოს 18 საათის შემდგომ სასადილოდან საცხოვრებელ ოთახებში მათი კუთვნილი საკვების შეტანის აკრძალვაზე. სპეციალური პრევენციული ჯგუფი აცნობიერებს რა ცენტრის ადმინისტრაციის არგუმენტებს დაწესებულებაში სისუფთავის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად მიიჩნევს პრობლემის ისეთ გადაწყვეტას, რომელიც მხედველობაში მიიღებს, როგორც სისუფთავის შენარჩუნებისთვის აუცილებელ ღონისძიებებს, ასევე უზრუნველყოფს უცხოელებისთვის ნაკლებად შემზღვეველი გარემოს შექმნას, მათ შორის, ისეთი გზებით, როგორცაა ფლიგელის ტერიტორიაზე სასადილო ოთახის მოწყობა. ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა წამების

¹⁰წამების პრევენციის ასოციაცია (APT), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), საემიგრაციო დაკავების მონიტორინგის პრაქტიკული სახელმძღვანელო, გვ. 135, ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <https://www.refworld.org/pdfid/53706e354.pdf> [ბოლოს ნანახია: 27.05.20].

¹¹ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ გადამოწმდა კვების მენიუები, რომელიც ყოველდღიურ რაციონში მოიცავს თევზულს ალტერნატიული ხორცპროდუქტის შეთავაზების გარეშე.

პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ საქართველოსთან მიმართებაში გაცემული რეკომენდაცია, უცხოელების მხრიდან საკვების მომზადების შესაძლებლობის განხილვასთან დაკავშირებით.¹²

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს, ადმინისტრაციის ინიციატივას, რომლის მიხედვითაც, ცენტრის ტერიტორიაზე დაიდგა თანხის ჩასარაცხი აპარატი, რომლითაც ცენტრში მოთავსებულ პირს შეეძლება დაწესებულებაში შემოსვლის დროს მის ხელთ არსებული ნაღდი ფულის თავის ანგარიშზე შეტანა და მისი ცენტრის სასაბუღალტროში გამოყენება. აღსანიშნავია, რომ ცენტრში მოთავსებული პირებისთვის დამზადებულ ბარათებზე ასევე შესაძლებელია თანხის ჩარიცხვა საზღვარგარეთიდან.

სპეციალური პრევენციული ჯგუფი ასევე იმედოვნებს, რომ ადმინისტრაცია გადადგამს შესაბამის ნაბიჯებს, რათა ცენტრის ტერიტორიაზე დაშვებულ იქნეს მაღაზიის ან თვითმომსახურების აპარატის ფუნქციონირება, სადაც ცენტრში მოთავსებული პირები ბარათების მეშვეობით მათთვის სასურველი პროდუქტებისა თუ ნებადართული ნივთების (მაგ. სიგარეტი და სხვა) შეძენას შეძლებენ.

რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- მიიღოს ყველა ზომა, რათა გაუქმდეს სალამოს 18 საათის შემდგომ სასაბუღალტროდან საცხოვრებელ ოთახებში კუთვნილი საკვების შეტანის აკრძალვა, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, ფლიგელების ტერიტორიაზე მოეწყოს სასაბუღალტრო ოთახი, სადაც სისუფთავის დაცვის წესების გათვალისწინებით შესაძლებელი იქნება, როგორც საკვების ატანა ასევე მისი მომზადება ან გაცხელება
- მიიღოს ყველა ზომა, რათა დღის რაციონში გათვალისწინებული ბურღულეულის და ხორცპროდუქტების ჩანაცვლება შესაძლებელი იყოს სხვა გვარეობითი პროდუქტებით
- მიიღოს ყველა ზომა, რათა საკვები მენიუს შედგენისას პერიოდულად განხორციელდეს ცენტრში მოთავსებული პირების გამოკითხვა და მათი სურვილების მაქსიმალური გათვალისწინება
- მიიღოს ყველა ზომა, რათა განხილულ იქნეს ცენტრის ტერიტორიაზე მაღაზიის ან თვითმომსახურების აპარატის ფუნქციონირების საკითხი, სადაც ცენტრში მოთავსებული პირები ბარათების მეშვეობით მათთვის სასურველი პროდუქტების თუ ნებადართული ნივთების შეძენას შეძლებენ

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში პრევენციის ეროვნული მექანიზმი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრის მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, გვ.6, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019110109240829750.pdf> [ბოლოს ნანახია:28.05.20].

4.3 შემოწმების პროცედურები

უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების წესის მე-5 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, ცენტრში მოსათავსებელი უცხოელი თავის ნივთებთან ერთად ექვემდებარება პირად დათვალიერებასა და პირველად სამედიცინო შემოწმებას. პირადი დათვალიერება ხორციელდება უსაფრთხოების მიზნით¹³, ხოლო პირველადი სამედიცინო შემოწმების მიზნად მითითებულია ინფორმაციის მიღება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და გარეგნული დათვალიერება.¹⁴

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2019 წელს გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, ცენტრში არ დანერგილა ისეთი სამედიცინო შემოწმების სტანდარტი, როგორც დროებითი მოთავსების იზოლატორებშია.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი 2018 წლის 10-21 სექტემბერს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში ხაზგასმით მიუთითებს, რომ მიგრაციის ცენტრთან მიმართებაშიც უნდა გავრცელდეს დაკავებულის შემოწმების, დაზიანებების დოკუმენტირებისა და საგამოძიებო უწყებისთვის ინფორმაციის გადაგზავნის ისეთივე პროცედურები (ადგილზე სამედიცინო პუნქტის არსებობით), როგორც დანერგილია შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში. ამასთანავე, უნდა განხორციელდეს ექიმების გადამზადება დაზიანების დოკუმენტირების საკითხებში.

4.4 სამედიცინო მომსახურება

ცენტრში დასაქმებულია ორი ექიმი და ერთი ფსიქოლოგი. ცენტრში დღის განმავლობაში ყოველთვის იმყოფება ერთი ექიმი, რომლის სამუშაო გრაფიკი განისაზღვრება 9:00 საათიდან 18:00 საათამდე. ღამის საათებში ექიმის საჭიროების შემთხვევაში, ხდება ცენტრის ექიმის ან სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება. ფსიქოლოგი არ იმყოფება ადგილზე და მისი გამოძახება ხდება საჭიროების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ცენტრში მოთავსებული პირები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ დაწესებულებაში არსებული სამედიცინო მომსახურებით. კერძოდ, მათი განცხადებით, ისინი მოთხოვნის მიუხედავად ვერ იღებენ ადეკვატურ სამედიცინო კონსულტაციას. მათ შორის, პრობლემურად დასახელდა მედიკამენტების მიწოდების საკითხი. სახალხო დამცველის მიერ 2019 წელს გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, ცენტრში მოთავსების დროს

<http://ombudsman.ge/res/docs/2019110109240829750.pdf> [ბოლოს ნანახია: 22.05.20].

საფრთხე, რომ უცხოელი გამოიყენებს ნივთს/ნივთებს საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის ხელყოფისათვის ან სხვისი ქონების დაზიანებისათვის.

¹⁴ ცენტრის სამედიცინო პერსონალი გამოკითხავს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; ზედმიწევნით ათვალიერებს გარეგნულად.

კვლავინდებურად არ ხდება სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება,¹⁵ მათ შორის, გადამდები დაავადებების და ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგი.

სპეციალური პრევენციული ჯგუფი მნიშვნელოვნად მიიჩნევს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესრულებას და ცენტრში 24/7 საათიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით ექთნების დასაქმებას.¹⁶ ცენტრში გამართული შეხვედრისას მიღებული ინფორმაციით, ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება დაგეგმილია უახლოეს მომავალში.

რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- 2020 წელს, ცენტრში 24/7 საათიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად დასაქმებულ იქნენ ექთნები
- მიიღოს ყველა ზომა, რათა ცენტრში მოთავსებული პირებს გაეწიოთ სათანადო სამედიცინო კონსულტაცია, მათ შორის, მათთვის უზრუნველყოს საჭირო მედიკამენტების მიწოდება
- 2020 წელს მიიღოს ყველა ზომა, რათა პირველადი სამედიცინო შემოწმება მოიცავდეს გადამდები დაავადებებისა (ტუბერკულოზი, „B“ და „C“ ჰეპატიტები, აივ ინფექცია/შიდსი) და ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგს შესაბამისი ინსტრუმენტებით.

¹⁵ ტუბერკულოზის, „B“ და „C“ ჰეპატიტების, ასევე აივ ინფექცია/შიდსის.

¹⁶ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიშში (CPT/Inf (2019) 16), პარ. 37, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <https://rm.coe.int/1680945eca> [ბოლოს ნანახია: 22.05.20].